ბრძანებულება №428 – რეფერენდუმის დანიშვნის შესახებ

მიმღები: საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს კონსტიტუციის 74-ე მუხლის, "რეფერენდუმის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10, მე-13 და მე-14 მუხლების შესაბამისად:

1. დაინიშნოს რეფერენდუმი 2003 წლის 2 ნოემბერს;
2. სარეფერენდუმოდ გამოტანილ იქნას საკითხი: თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არაუმეტეს 150 დეპუტატით?
3. ღეფერენდუმის მომზადება და ჩატარება უზრუნველყოს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ;
4. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (მ. გოგიაშვილი) გამოყოს რეფერენდუმის ჩატარეიბსათვის საჭირო სახსრები საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად;
5. საქართველოს სამინისტროებმა და უწყებებმა, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების ხელისუფლების ორგანოებმა, სამხარეო ადმინისტრაციებმა, ქალაქის მერიებმა და რაიონების გამგეობებმა განახორციელონ ღონისძიებანი რეფერენდუმის ორგანიზებულად და კანონის მოთხოვნათა ზუსტი დაცვის ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით;
6. ბრძანებულება დაუყოვნებლივ გამოქვეყნდეს პრესაში და გადაიცეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებით.

ედუარდ შევარდნაძე

გამოქვეყნებულია №98 მაცნეში
05.09.2003
ნაწილი III